



შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“

დისტანციური სწავლების წესი



მარნეული

2021

მუხლი 1.

- 1.1. წინამდებარე დისტანციური სწავლების წესი (შემდგომში - წესი) ადგენს შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯში“ (შემდგომში - კოლეჯი) დისტანციური სწავლების მეთოდებს, ფორმებს და მისი ეფექტიანობისათვის საჭირო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს/შეფასების კრიტერიუმებს.
- 1.2. წესი განსაზღვრავს კოლეჯში ელექტრონული პლატფორმებით, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სასწავლო პროცესის დაგეგმვის, უწყვეტად და ეფექტიანად წარმართვას და მისი ადმინისტრირებას;

მუხლი 2.

- 2.1. დისტანციური სწავლება წარმოადგენს სწავლების დამატებით მეთოდს, რომელიც პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს გამოიყენონ პერსონალიზებული და მოქნილი (დროისა და ადგილის მიხედვით) მეთოდები, ამასთანავე უზრუნველყონ სწავლის შედეგების მიღწევა ონლაინ ინფორმაციის წყაროების, ასევე ვიდეო და აუდიო არხების გამოყენების გზით.
- 2.2. დისტანციური სწავლების კომპონენტები გამოიყენება ისეთი სიტუაციების დროს, როცა არის:
 - 2.2.1. ფორსმაჟორული ვითარება;
 - 2.2.2. ეპიდემიით გამოწვეული დისტანცირება;
 - 2.2.3. სტუდენტთა ავადობის ან დროებითი/ხანგრძლივი შეზღუდული შესაძლებლობები;
 - 2.2.4. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დროებითი შრომისუუნარობა, რაც გამორიცხავს კოლეჯის ტერიტორიაზე პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროფესიული სტუდენტის ერთდროულად ყოფნას.
 - 2.2.5. კოლეჯში გადაუდებელი სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები;
 - 2.2.6. კოლეჯის მიერ სხვა დასაბუთებული შემთხვევები.
- 2.3. სწავლების დისტანციური მეთოდი უნდა უზრუნველყოფდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გარკვეული სწავლის შედეგებზე გასვლას.
- 2.4. დისტანციური სწავლების დაწყების შესახებ პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება ხდება წინასწარ.
- 2.5. კოლეჯის დირექტორი დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის შესახებ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს.
- 2.6. საჭიროების შემთხვევაში ასევე შესაძლებელია კოლეჯში ადმინისტრაციის საქმიანობა განხორციელდეს დისტანციურად, ადმინისტრაციული წარმოებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით. კოლეჯში დასაქმებული პირები გადაყვანილ იქნებიან დისტანციური მუშაობის რეჟიმზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონკრეტული პოზიციის/თანამდებობის პირის კოლეჯის ტერიტორიაზე ყოფნა/გამოცხადება დაკავშირებულია ამ პოზიციის/თანამდებობის სპეციფიკასთან. ამ პირ(ებ)ის მიერ საქმიანობა ხორციელდება საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით.

მუხლი 3.

- 3.1. კოლეჯში სწავლება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი მოდელების გამოყენებით:

3.1.1.სრულად ელექტრონულად, სინქრონულად-როცა პროფესიული განათლების მასწავლებელი და პროფესიული სტუდენტები მათი უნიკალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით, ერთდროულად იყენებენ რომელიმე ელექტრონულ პლატფორმას, რომელიც იძლევა აუდიო ან/და ვიდეოკომუნიკაციის შესაძლებლობას, სტუდენტებსა და მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა მყისიერად დასვან შეკითხვები ან უპასუხონ მათ;

3.1.2.სრულად ელექტრონულად, ასინქრონულად, როცა მასწავლებელი და სტუდენტები ერთდროულად ან სხვადასხვა დროს, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი პროცესის შესაბამისად, დამოუკიდებლად სწავლობენ სხვადასხვა დროსა და ადგილას, რეალურ დროში კომუნიკაციის გარეშე, იყენებენ ან ციფრულ რესურსებს, ან აუდიო და/ან ვიდეო ფაილებს;

3.1.3.ჰიბრიდულად, რაც გულისხმობს სრულად ელექტრონული სინქრონული ან/და ასინქრონული და კონტაქტური(აუდიტორიაში) სწავლების კომბინირებულად გამოყენებას;

3.2.დისტანციური სწავლების პროცესის შეუფერხებლად და ეფექტიანად განხორციელების მიზნით პროფესიული მასწავლებლებისათვის და პროფესიული სტუდენტებისათვის ტარდება შეხვედრები სწავლების ელექტრონული პლატფორმის და რესურსების გამოყენებაში.

მუხლი 4.

4.1.განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ განსაზღვრულია შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ სწავლის შედეგების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია დისტანციური სწავლების მეთოდით, რომლის საფუძველზე კოლეჯის მიერ დადგენილი წესით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება ცვლილებებით.

4.2.დისტანციური სწავლების მეთოდის სასწავლო პროცესში გამოყენების შესაძლებლობის ანალიზს ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიულ მასწავლებლებთან ერთად.

4.3.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების გადისტანციურებასთან დაკავშირებით შემუშავებული მიდგომები თანხმდება კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურთან.

4.4.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ან პროგრამის კომპონენტის/კომპონენტების სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამის კონკრეტული კომპონენტების დისტანციური სწავლების რეჟიმში ან სასწავლო პროცესის მთლიანად დისტანციურ რეჟიმში განხორციელებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, რომელიც აღნიშნულის შესახებ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს.

მუხლი 5.

5.1.სასწავლო პროცესის მართვის სამსახური საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ადგენს მეცადინეობათა

განრიგს თითოეული კვირისთვის/დღისთვის, ყოველი საგანმანათლებლო პროგრამისთვის/მოდულისთვის.

5.2. დისტანციური სწავლების დროს საკონტაქტო საათის ხანგრძლივობა (1 საათი) შეადგენს 40 წუთს.

5.3. დისტანციური სწავლების განხორციელების მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების აპლიკაციის/პლატფორმის შერჩევასა და მის ტექნიკურ გამართულობას. აღნიშნული აპლიკაციის/პლატფორმის საშუალებით შესაძლებელია სასწავლო პროცესის ინტერაქტიულად წარმართვა.

5.4. საკომუნიკაციოდ გამოიყენება ელექტრონული საშუალებები - ელექტრონული ფოსტა, სადისკუსიო ფორუმები, ჩატი, Teams-ის-Zoom-ის პლატფორმა.

5.5. დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, აღნიშნულ სწავლებაზე გადასვლამდე, კოლეჯი ახორციელებს პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის შერჩეული დისტანციური სწავლების აპლიკაციის/პლატფორმის გამოყენებასთან დაკავშირებით შემუშავებული ინსტრუქციებით უზრუნველყოფას.

5.6. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ჩაერთოს დისტანციურ სწავლებაში მიწოდებული გრაფიკის შესაბამისად ადეკვატური გარემოდან.

5.7. პროფესიული სტუდენტი ონლაინ სივრცეში შემოსვლით და ჩართულობით ადასტურებს სასწავლო პროცესში მონაწილეობას.

5.8. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია პროფესიული მასწავლებლის ან/და ადმინისტრაციული პერსონალის მოთხოვნის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში ჩართოს ან/და გამორთოს ვიდეო და აუდიო მოწყობილობა, ასევე ელექტრონულ პლატფორმაზე შემოსვლისას პროფესიული სტუდენტის იდენტიფიცირების მიზნით უნდა ფიქსირდებოდეს სახელი და გვარი.

5.9. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით ონლაინ გამოკითხვებში და დააფიქსიროს მოსაზრება/რეკომენდაციები შემდგომი განვითარების მიზნით.

5.10. კოლეჯის ადმინისტრაცია უფლებამოსილია უზრუნველყოს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობის გამოყენება, რათა არც ერთი პროფესიული სტუდენტი არ აღმოჩნდეს დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა, ან არ ჩამორჩეს სასწავლო პროცესს.

5.11. დისტანციური სწავლების პროცესში, კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს საბიბლიოთეკო რესურსებზე პროფესიულ სტუდენტთა შეუფერხებელი წვდომა, რაც გულისხმობს ბეჭდური წიგნების მიწოდებას პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის და დისტანციური მასალების/წიგნების ატვირთვას შესაბამის ჯგუფებში.

5.12. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი ტექნიკური პრობლემების გამო არ/ვერ შეძლებს ჩართვას ონლაინ სწავლების პროცესში კოლეჯის მიერ შეთავაზებული სპეციალური ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით, კოლეჯი ვალდებულია, უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტისათვის სასწავლო გეგმით განსაზღვრული დავალებების მიცემა და დამატებითი კონსულტირების გაწევა. ამ მიზნის მისაღწევად კოლეჯი/პროფესიული განათლების მასწავლებელი გამოიყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას, მათ შორის,

სატელეფონო კომუნიკაციას. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, ითანამშრომლოს კოლეჯის ადმინისტრაციასთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან.

5.13. კოლეჯი ვალდებულია დისტანციური სწავლებისას დაიცვას თითოეული პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემები და მოქმედი კანონმდებლობის სხვა მოთხოვნები.

5.14. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია დაწესებულების მიერ შერჩეულ ელექტრონულ პლატფორმაში დარეგისტრირდეს, შექმნას საკუთარი ანგარიში და უზრუნველყოს ყველა პროფესიული სტუდენტისათვის და დისტანციურ სწავლებაზე პასუხისმგებელი პირისათვის დადგენილი ცხრილის მიხედვით ჩართვის ლინკის მიწოდება;

5.15. პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი სასწავლო მასალის მიწოდებას ახორციელებს ასინქრონული ან სინქრონული მეთოდის მეშვეობით. მოდულის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს მეთოდი.

5.16. პროფესიულ სტუდენტთა ონლაინ აქტივობის აღრიცხვას ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი, ხოლო სასწავლო პროცესს დროგამოშვებით აკვირდება სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და ასევე შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

5.17. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია დისტანციური ჩართვა განახორციელოს ადეკვატური გარემოდან;

5.18. იმ შემთხვევაში თუ მასწავლებელი ვერ ახერხებს სახლიდან ჩართვას ან მასწავლებელს არ გააჩნია შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა/ინტერნეტი კოლეჯი უფლებამოსილია გამოყოფს შესაბამისი სივრცე მასწავლებლისთვის დისტანციური გაკვეთილის ჩასატარებლად.

მუხლი 6.

6.1. კოლეჯის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებებს დისტანციური სწავლების განხორციელებისთვის საჭირო რესურსის გამოყოფასთან დაკავშირებით და გამოყოფს დისტანციური სწავლების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირს/პირებს.

მუხლი 7.

7.1. დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩასართავად აუცილებელია იმ ელექტრონული პროგრამის ჩამოტვირთვა, რომლის მეშვეობითაც მოხდება საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა.

7.2. ონლაინ მეცადინეობის პლატფორმის გამოყენებისას, აღნიშნული პლატფორმა გახლავთ ვირტუალური აუდიტორია, შესაბამისად მასში ჩართული პირები ვალდებულნი არიან მოიქცნენ ისევე, როგორც უნდა იქცეოდნენ ცოცხალ რეჟიმში მეცადინეობის წარმართვის დროს, კერძოდ:

7.2.1. შეარჩიეთ ონლაინ ჩართვისთვის ისეთი გარემო, სადაც სხვა ადამიანების ხმაური არ შეგიშლით ხელს საკონტაქტო საათის მსვლელობის დროს. მოულოდნელი ხმაურის შემთხვევაში კი გამორთეთ თქვენი მიკროფონი;

- 7.2.2. დაბურული ფონის ფუნქცია გამოიყენეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოგეთხოვებათ კამერის ჩართვა, მაგრამ თქვენთვის არასასურველი ფონი გაქვთ;
- 7.2.3. გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია იყოს რაიმე ტექნიკური შეფერხება, ამიტომ საკონტაქტო საათის დაწყებამდე 5-10 წუთით ადრე შეამოწმეთ კომპიუტერის/ინტერნეტის გამართულობა ტექნიკური ხარვეზის თავიდან აცილების მიზნით;
- 7.2.4. არ დააგვიანოთ ვირტუალურ აუდიტორიაში შესვლა;
- 7.2.5. საკონტაქტო საათის მსვლელობისას დაიცავით კოლეჯის „ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნები და კომუნიკაციის წესები;
- 7.2.6. გააკონტროლეთ, ჩართვის დროს არ გამოჩნდეს კამერაში არასასურველი გამოსახულება; დაიცავით დისკუსიის წესები (ერთმანეთის მოსმენა, დროის განაწილება, რეგლამენტი, შეკითხვების დასმა და ა.შ.);
- 7.2.7. არ გააზიაროთ სხვების პერსონალური ინფორმაცია; ასევე, ფრთხილად იყავით საკუთარი პერსონალური ინფორმაციის გავრცელებისას (არ გააზიაროთ თქვენი პაროლი, პირადი ნომერი და სხვა საჯაროდ);
- 7.2.8. დისტანციური სწავლების პროცესში დაცული უნდა იყოს დისკუსიის პანელის ეტიკეტი, რაც გულისხმობს მხოლოდ განსახილველ საკითხთან მიმართებით არსებული შეკითხვების დასმას. საკითხების დაზუსტება უნდა მოხდეს პროფესიული განათლების მასწავლებელთან და არა ჯგუფის წევრებთან;
- 7.2.9. მოერიდეთ უარყოფითი კომენტარების განთავსებას „ჩატში“;
- 7.2.10. „ჩატში“/ფორუმში განათავსეთ მხოლოდ „ჩატის“/ფორუმის მიზნებთან დაკავშირებული და მათგან გამომდინარე ინფორმაცია;
- 7.2.11. დაიცავით საავტორო უფლებების დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები;

7.3. დისტანციურ სწავლებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია წინასწარ მოახდინოს პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება ლექციის ჩაწერასთან დაკავშირებით და მხოლოდ მათი თანხმობის მიღების შემდგომ განახორციელონ ჩაწერა. სალექციო ჩანაწერი შესაძლებელია გამოყენებული იქნას მხოლოდ შიდა მოხმარებისათვის (მონიტორინგი და ხარისხის კონტროლი).

7.4. ონლაინ შეხვედრების, ონლაინ სწავლების ამსახველი მასალა (ფოტო/ვიდეო გამოსახულება) წარმოადგენს პირის პერსონალურ მონაცემებს, შესაბამისად მათი გასაჯაროება დასაშვებია მხოლოდ მათზე აღბეჭდილ პირთა წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

მუხლი 8.

- 8.1. დისტანციური სწავლების დროს პროფესიულ სტუდენტთა შეფასება წარმოებს მოდულების სწავლის შედეგების შესაბამისად, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი ფორმით.
- 8.2. მოდული, რომლის სწავლის შედეგების დისტანციური სწავლების მეთოდით შეუძლებელია მიიღწეს, პროფესიული განათლების მასწავლებელი სტუდენტთა სწავლებას და შეფასებას განახორციელებს კოლეჯში დასწრებით სწავლებაზე დაბრუნების დროს.
- 8.3. მოდული, რომლის სწავლის შედეგები დისტანციური სწავლების მეთოდით შესაძლებელია იქნას მიღწეული, მასწავლებელს შეუძლია პროფესიულ სტუდენტთა შეფასება ჩაატაროს დისტანციურად.
- 8.4. ელექტრონული შეფასებების ძირითადი პრინციპები შეფასების ალტერნატიული მეთოდები უნდა იძლეოდეს პროფესიულ სტუდენტების მიერ მიღწეული იგივე სწავლის

შედეგების შეფასების შესაძლებლობას, რაც უნდა შეფასებულიყო სწავლების ტრადიციული ფორმების გამოყენების შემთხვევაში.

8.5. ზეპირი გამოცდების ჩატარება შესაძლებელია ვიდეოკონფერენციის პლატფორმების გამოყენებით.

8.6. ელექტრონულად სწავლის შედეგების დადასტურების პროცესში ჩართული პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ჩართოს ვიდეო და აუდიო მოწყობილობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ დაიშვება საგამოცდო პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

8.6. წერიტი დავალების შესრულებისას საჭიროა შესაბამისი კითხვების შექმნა ღია ან დახურული ფორმატით მაგ. Google forms-ში და სხვა;

8.7 შეფასების მტკიცებულებებს აგროვებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და ამობეჭდილი სახით ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში.

8.8 შეფასების შედეგები ფორმდება შესაბამის უწყისში, რომელიც ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში.

8.9. შედეგის დადასტურების პროცესში პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა პროფესიული სტუდენტის შესაძლებლობები ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

მუხლი 9.

9.1. დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და შიდა მხარდაჭერის ჯგუფი ვიდეო ჩართვის მიმდინარეობის დროს აღნიშნულ პროცესში ჩართვის და დაკვირვების მეშვეობით.

9.2. დისტანციური სწავლების მონიტორინგი მოიცავს სასწავლო ცხრილის მიხედვით აუდიო-ვიდეო ლექციების ჩატარებისა და სასწავლო მასალების განთავსების კონტროლს.

9.3. დისტანციური სწავლების პროცესში ჩართული პერსონალის დახმარებას, გადამზადებას და სასწავლო მასალების განთავსების ყოველდღიურ კონტროლს ახორციელებს დისტანციურ სწავლებაზე პასუხისმგებელი პირი.

9.4. დისტანციური სწავლების პოლიტიკა შეიცავს ხარისხის უზრუნველყოფის შემადგენელ ელემენტებს, რომლებიც მოიცავს:

9.4.1. ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;

9.4.2. დისტანციური სწავლის მეთოდით მისაღწევი სწავლის შედეგის იდენტიფიცირებას;

9.4.3. პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას და დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით საჭირო ინსტრუქციებით მათ უზრუნველყოფას;

9.4.4. კოლეჯის ტექნიკური ინფრასტრუქტურის შეუფერხებლად და გამართულად ფუნქციონირების მონიტორინგს/ხელშეწყობას;

9.4.5. პერსონალური მონაცემების დაცვის კონტროლს.

9.4. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს დისტანციური სწავლების პროცესის კმაყოფილების კვლევის ანალიზს.

9.5. ანალიზი ხორციელდება მინიმუმ კვარტალში ერთხელ, რომლის შედეგები განიხილება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და იგეგმება შემდგომი განვითარების გზები;

9.6. კოლეჯში დისტანციური სწავლების პროცესის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი კითხვარები:

9.6.1. პროფესიული სტუდენტის მიერ დისტანციური სწავლების შეფასების კითხვარი #1-ის შესაბამისად;

9.6.2. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ დისტანციური სწავლების შეფასების კითხვარი დანართი #2-ის შესაბამისად;

9.7. კითხვარების ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში საკითხების დაზუსტება შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ონლაინ შეხვედრებით, როგორც ჯგუფურად ისე ინდივიდუალურად.

9.8. კითხვარების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ცვლილებები განხორციელდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში და ა.შ.

მუხლი 10.

10.1. დისტანციური სწავლების პროცესში შექმნილი ნებისმიერი ვიდეო ლექცია და ელექტრონული სასწავლო მასალა ეკუთვნის კოლეჯს და პროფესიული განათლების მასწავლებელს.

10.2. კოლეჯი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს არსებული ელექტრონული მასალა (სასწავლო რესურსები; ინტერაქტიული ელექტრონული გაკვეთილები; ელექტრონული სიმულაციები, სლაიდები და სხვა)

მუხლი 11.

11.1. წინამდებარე წესი გამოიყენება მხოლოდ დისტანციური სწავლების პერიოდში.

11.2. წინამდებარე წესი მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

11.3. წინამდებარე წესში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.



პროფესიული სტუდენტის მიერ დისტანციური სწავლების შეფასების ფორმა

მოგესალმებით!

თქვენი აზრი ძალიან მნიშვნელოვანია. შეფასებები არის კონფიდენციალური, ის კოლეჯის მიერ იქნება გამოყენებული განზოგადებული სახით, სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და ახალი სამოქმედო ინსტრუქციების შესაქმნელად.

წინასწარ მადლობას გიხდით კითხვარის შევსებისა და აზრის გაზიარებისთვის!

(3-კარგი; 2- საშუალო; 1-ცუდი)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

1. დისტანციური სწავლების თემატიკა რამდენად გასაგებად იყო მოწოდებული?

3 2 1

შენიშვნა _____

2. რამდენად ხელმისაწვდომია კურსით გათვალისწინებული სასწავლო მასალები ?

3 2 1

შენიშვნა _____

3. რამდენად კმაყოფილი ხართ პროფესიულ მასწავლებლებთან კომუნიკაციით?

3 2 1

შენიშვნა _____

4. დისტანციური კომუნიკაციის რა საშუალებით სარგებლობთ დისტანციური სწავლების დროს?

5. რამდენად ხელმისაწვდომია თქვენთვის შეუზღუდავი ინტერნეტი?

6. როგორ ფიქრობთ, რამდენად არის შესაძლებელი სწავლების ამ მეთოდით სწავლის შედეგების მიღწევა?

7. რისი შეცვლა ან გაუმჯობესება გსურთ კურსის დისტანციურ სწავლებაში.



**დისტანციურ სწავლებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლის
შეფასების/თვითშეფასების ფორმა**

მოგესალმებით!

თქვენი აზრი ძალიან მნიშვნელოვანია. შეფასებები არის კონფიდენციალური, ის კოლეჯის მიერ იქნება გამოყენებული განზოგადებული სახით, სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და ახალი სამოქმედო ინსტრუქციების შესაქმნელად.

წინასწარ მადლობას გიხდით კითხვარის შევსებისა და აზრის გაზიარებისთვის!

(3-კარგი; 2- საშუალო; 1-ცუდი)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის ფარგლებშიც, იყენებთ დისტანციური სწავლების მეთოდს

1. საკონტაქტო საათებზე შემოსულ პროფესიულ სტუდენტთა ოდენობა

2. გთხოვთ შეაფასეთ პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფის საკონტაქტო საათებისთვის მზაობა

3 2 1

შენიშვნა _____

3. გთხოვთ, შეაფასოთ პროფესიულ სტუდენტთა აქტიურობა მეცადინეობაზე

3 2 1

შენიშვნა _____

4. გთხოვთ, შეაფასოთ სწავლა-სწავლებისთვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა (სასწავლო მასალის მიწოდება და ა.შ)

3 2 1

შენიშვნა _____

5. ტექნიკურად რამდენად გამართულია დისტანციური სწავლების პროცესი

3 2 1

შენიშვნა _____

6. როგორ ფიქრობთ, რამდენად არის შესაძლებელი სწავლების ამ მეთოდით სწავლის შედეგების მიღწევა?

7. რა პრობლემებს შეხვდით დისტანციური სწავლების პროცესში?

აღწერეთ _____

8. თქვენი რჩევა/სურვილი
